

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N8

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

23.05.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -*გიორგი ივანიაძე*.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი: -*გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარბეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი.*

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: *ალექსანდრე ლილუაშვილი, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტყარაძე, ვარლამ გიორგაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი (დანართი N1)*

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - *ლუბა გოგოძე*.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -*ივანე მამფორია*.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -*მამუკა ნამიჭეიშვილი*.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - *ზვიად კაპანაძე*.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს რიგგარეშე ღია სხდომას 12⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხს./ივანე მამფორია/

2. „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს./მამუკა ნამიჭეიშვილი/

3. „ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ვანში, თავისუფლების ქ. N59-ში მდებარე 1166 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01 26.402) სსიპ სახელწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით, 30 წლის ვადით გადაცემის თაობაზე.“

მომხს. /ზვიად კაპანაძე/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განაპირობა 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში 2019 წლის 17 მაისის N125 განკარგულებით შეტანილმა ცვლილებამ. ძირითადი ცვლილება არის შემდეგი:

კოდი 03 01 - ასიგნება ტენდერში წარმოშობილი ეკონომიების ხარჯზე მცირდება 71,5 ათასი ლარით. სამუშაოებს ემატება ისრითის ცენტრიდან დიხაშხო-ბზვანის გზამდე გზის რებილიტაცია (183,9 ათასი ლარი)

კოდი 04 02 - ასიგნება ტენდერის ეკონომიების ხარჯზე მცირდება 30,7 ათასი ლარით.

კოდი 01 02 - არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი მცირდება 12,0 ათასი ლარით. საქონელი და მომსახურება იზრდება 6,0 ათასი ლარით.

კოდი 02 01 - ასიგნება იზრდება 6,0 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

(დანართი: დადგენილება N 17).

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიტორელიძემ (მამუკა ნამიჭეიშვილის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება მოხდა N27 6 განკარგულების დანართში, კერძოდ თანხებში და კიდევ დაემატა ახალი პროექტები.

1. ზედა ვანში, სოფ ტყელვანში წყლის მიღების შეძენა 3400 ლარი შემცირდეს 3000 ლარით და დაემატოს ზედა ვანის გარე განათების მოწყობას.

2. სოფელ შუამთაში მინი სტადიონის კეთილმოწყობისთვის მასალების და ინვენტარის შეძენა შემცირდეს 700 ლარით და ამ თანხით მოხდეს შუამთა- ტობანიერის გზაზე არსებული ნაძვნარის გასუფთავება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

(დანართი: განკარგულება N 27 21)

მოისმინეს:

დღის წერიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ვანში , თავისუფლების ქ. N59-ში მდებარე 1166 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01 26.402)სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით, 30 წლის ვადით გადაცემის თაობაზე.“ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ვანში, თავისუფლების ქ. N59-ში მდებარე 1166კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.402) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო აღნაგობის უფლებით, 30 წლით გადაეცეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ახალი იუსტიციის სახლის ასაშენებლად.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ვანში, თავისუფლების ქ. N59-ში მდებარე 1166 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01 26.402)სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით, 30 წლის ვადით გადაცემის თაობაზე.“

(განკარგულება N 27 20)

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე

